

ნინო დათეშიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი

ninodate@gmail.com

თეონა ლაფაური

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი

lapauriteo@yahoo.com

ნათელა მუზაშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი

natelamuza@yahoo.com

მარინე ოსაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი

marineosadze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ისო, საერთაშორისო სტანდარტები, სტანდარტიზაცია, ტერმინთბანკი, ტერმინოლოგია.

ტერმინოლოგიის ახალი საერთაშორისო სტანდარტები

გასული საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) შექმნით მსოფლიო სტანდარტიზაციის ახალ საფეხურზე გადავიდა. სტანდარტიზაცია წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც ნებისმიერ სფეროში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, იქნება ეს პროდუქტები, მეცნიერება თუ ნებისმიერი სხვა რამ, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიო გადასულია ციფრულ ტექნოლოგიებზე და ნებისმიერი დარგის განვითარება, გარკვეულწილად, დამოკიდებულია სწორედ ამ ტექნოლოგიების დაწერგვაზე. ეს კი აუცილებლად მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებას. სტანდარტებზე დაფუძნებული მუშაობა ხარისხის გარანტიაა.

ისოს შექმნა გადაწყდა 1946 წელს ლონდონში გამართულ სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანიზაციების კონფერენციაზე, 1947 წელს კი უკვე ოფიციალურად დაიწყო საქმიანობა. ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მანამდე უკვე არსებული ორი ორგანიზაციის (1926

წელს დაარსებული „სტანდარტიზაციის ეროვნული ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია“ და 1944 წელს დაარსებული „გაერთიანებული ერების სტანდარტების საკოორდინაციო კომიტეტი“) გაერთიანებით.

მართალია, წინამორბედთა საფუძველზე დაარსდა ისო და გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმული იყო, მაგრამ აქ სხვა მასშტაბები შეიძინა სტანდარტებმა და სტანდარტიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ისოში თითოეულ სტანდარტზე შესაბამისი სფეროს კომიტეტი მუშაობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობა არ გულისხმობს სტანდარტების ერთჯერადად შემუშავებას, ესაა მუდმივი, დაუსრულებელი პროცესი, რომელშიც არაერთი სპეციალისტია ჩართული.

ამჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილების ერთ-ერთ ძირითად ამოცანაა ქართული ტერმინთა ბანკის შექმნა, ეს კი, ტერმინოლოგიურ საქმიანობასთან ერთად, ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. ამის შესახებ ინფორმაციას ფლობს ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციაც. ასოციაციის პრეზიდენტმა ჰენრიკ ნილსონმა სხვადასხვა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, გამოუგზავნა კითხვარი, ერთ-ერთი კითხვა კი სწორედ ეროვნული ტერმინთა ბანკის სტანდარტიზაციის საკითხს შეეხებოდა. ამ კითხვარის გაცნობის შემდეგ ტერმინოლოგიურ განყოფილებაში დღის წესრიგში დადგა საჭირო საერთაშორისო სტანდარტების მოძიება. ქართული ტერმინთა ბანკი ინტერნეტში გამოქვეყნებისას უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება ორი მიმართულებით, ერთი უშუალოდ ტერმინოლოგიური საქმიანობის პრინციპებს შეეხება, მეორე კი – ტექნიკურ მხარეს, რათა ქართული ტერმინთა ბანკი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სხვა ქვეყნების მონაცემებს.

რა თქმა უნდა, გარკვეულ „სტანდარტებს“ მანამდეც იყენებდნენ ნებისმიერი დარგის წარმომადგენლები, არსებობდა სიტყვიერი თუ წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სრულდებოდა ესა თუ ის საქმე, ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც გადამწერთა საქმიანობა. მათი მუშაობის კანონზომიერებები ხომ სწორედ ამგვარ შეთანხმებებს ეფუძნებოდა.

დღეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა სტანდარტების აუცილებლობა, უკვე არსებულის განახლება თუ ახლის შემუშავება. სტან-

დარტებზე მიზანმიმართულმა მუშაობამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო. ტექნოლოგიების დანერგვამ გამოკვეთა სტანდარტების საჭიროება. ნებისმიერი დარგის განვითარება მნიშვნელოვნად თუ არა, გარკვეული დოზით მაინცაა დაკავშირებული კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, შესაბამისად, გარდა კონკრეტული სფეროს სტანდარტებისა, საჭიროა მათთან დაკავშირებული კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტებიც.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ საერთაშორისო სტანდარტიზაცია და მის ფონზე – ქართული სტანდარტიზაცია, განსაკუთრებულ ყურადღებას კი გავამახვილებთ ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე.

თუ ისოს საქმიანობას მივადევნებთ თვალს, დავინახავთ, რომ სტანდარტებზე მუშაობა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. დაანონსებიდან გამოქვეყნებამდე თითოეულ სტანდარტზე დაახლოებით სამი წელი მუშაობენ. უკვე გამოქვეყნებულ სტანდარტებს კი ყოველ 5 წელიწადში თავიდან იხილავენ და საჭიროების შემთხვევაში განახლებულ ვერსიას გვთავაზობენ. თავად ისოს ვებგვერდზე სტანდარტებზე მუშაობა შედარებულია ორკესტრთან, ორივე (სტანდარტიცა და ორკესტრიც) მოითხოვს მრავალი ადამიანის ერთობლივ მუშაობას. „ისოს როლი დირიჟორის მსგავსია, ორკესტრი კი შედგება ჩვენი წევრების მიერ დასახელებული დამოუკიდებელი ტექნიკური ექსპერტებისაგან“¹.

პირველი საერთაშორისო სტანდარტი (ISO/R 1:1951 – Standard reference temperature for industrial length measurements) გამოქვეყნდა 1951 წელს და დღეს უკვე 24 658² სტანდარტია შემუშავებული. ისოში თითოეულ საკითხზე შესაბამისი კომიტეტი³ მუშაობს.

საქართველო („საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ – GEOSTM) ისოს წევრი გახდა 2006 წელს და სარგებლობს წევრ-კორესპონდენტის სტატუსით⁴, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველო იღებს საერთაშორისო სტანდარტებს, ტექნიკურ ანგარიშებს, სახელმძღვანელოებს, მაგრამ არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სტანდარტების შემუშავებაში. ასევე საქართველო –

¹ <https://www.iso.org/developing-standards.html>

² რადგან ისო განუწყვეტლივ აახლებს და აქვეყნებს სტანდარტებს, შესაძლოა აქ დასახელებული რიცხვები შეცვლილი იყოს. წარმოდგენილია 06.02.2023-ის მონაცემები.

³ <https://www.iso.org/technical-committees.html>

⁴ <https://www.iso.org/member/1950.html>

სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სახით – დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანებულია ისოს შემდეგ კომიტეტებში: CASCO (შესაბამისობის შეფასება); DEVCO (განვითარებადი ქვეყნების საკითხები).

რაც შეეხება უშუალოდ ტერმინოლოგიურ სტანდარტებს, ისოში 341 კომიტეტიდან ერთ-ერთია 1947 წელს დაარსებული *ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტი* (ISO/TC 37¹), ის, თავის მხრივ, 5 ქვეკომიტეტს მოიცავს, ესენია: ISO/TC 37/SC 1 – პრინციპები და მეთოდები; ISO/TC 37/SC 2 – ტერმინოლოგიური საქმიანობა და ენობრივი კოდირება; ISO/TC 37/SC 3 – ტერმინოლოგიური რესურსების მართვა; ISO/TC 37/SC 4 – ენობრივი რესურსების მართვა; /TC 37/SC 5 – მთარგმნელობითი საქმიანობა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები. *ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტს* უკვე 79 სტანდარტი აქვს გამოქვეყნებული და მიმდინარეობს 33 სტანდარტის დამუშავება. ამ 79 სტანდარტიდან ზოგიერთი უშუალოდ ტერმინოლოგიურ საქმიანობას უკავშირდება. მათ შორისაა სამი სტანდარტი, რომელთა საფუძველზეც 1999 წელს საქსტანდარტის, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სახელმწიფო ენის პალატის ჩართულობით მათი შესაბამისი ქართული სტანდარტები გამოიცა:

1) ისო 704:87 – ტერმინოლოგიის პრინციპები და მეთოდები

პირველად გამოქვეყნდა 1968 წელს, შემდეგ კიდევ ოთხჯერ გამოიცა განახლებული ვერსიები 1987, 2000, 2009 და 2022 წლებში. ქართულად თარგმნილია 1987 წლის მეორე ვერსია. დღეს კი უკვე მეხუთე ჩასწორებული ვარიანტია მოქმედი და ბევრი ცვლილებაცაა ასახული.

აღნიშნულ სტანდარტში განხილულია ის პრინციპები და მეთოდები, რომლებიც ტერმინოლოგიაზე მუშაობისას გამოიყენება. საუბარია ცნებებზე, განსაზღვრებებზე (გამოყოფილია განსაზღვრებების სახეები), მახასიათებლებზე (მითითებულია საჭირო, საკმარისი და ძირითადი მახასიათებლები)... აღნიშნულია ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა განმარტების შესაძლებლობა დარგების მიხედვით (მაგალითად, „წყალი“ ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მეტროლოგიისა და ასტროლოგიის მიხედვით სრულიად განსხვავებულად განიმარტება). ყურადღება გამახვილებულია ასევე მონოსემიის, სინონიმის, ომონიმის პრობლემებზე. განხილულია სიტყვათშემოკლებათა შექმნის საკითხები და ა.შ.

¹ <https://www.iso.org/committee/48104.html>

2) ისო 1087:90 – ტერმინოლოგია ლექსიკონი

აღნიშნული სტანდარტი პირველად გამოქვეყნდა 1990 წელს, 2000 წელს განახლდა და 2 ნაწილად გამოიცა:

- ტერმინოლოგიური საქმიანობა – ლექსიკონი – ნაწილი 1: თეორია და პრაქტიკა
- ტერმინოლოგიური საქმიანობა – ლექსიკონი – ნაწილი 2: კომპიუტერული პროგრამები,

ბოლო ვერსია კი (ტერმინოლოგიური საქმიანობა და ტერმინოლოგიური მეცნიერება – ლექსიკონი) 2019 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა.

ამ სტანდარტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტერმინის განმარტება, მაგალითად, რა არის ცნება, განსაზღვრება, განმარტებულია სხვადასხვა სახის **ცნება**, განსაზღვრებები, რა არის სინონიმია, ომონიმია, ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიური მონაცემები, სიტყვა-სტატია და ა.შ.

3) ისო 860:96 – ტერმინოლოგიური საქმიანობა – ცნებათა და ტერმინთა ჰარმონიზაცია

პირველად გამოქვეყნდა 1968 წელს, შემდეგ განახლდა 1996 წელს და დღეს მოქმედია 2007 წლის ვერსია.

მოცემულ სტანდარტში განმარტებულია ცნებათა და ტერმინთა ჰარმონიზაციის საჭიროება, განსაზღვრულია ამ პროცესის თანმიმდევრობა, ახსნილია, რომ დამკვიდრებული ტერმინები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩანაცვლდეს, თუ ყურადღებით იქნება განხილული დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაანალიზებულია პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს ჰარმონიზაციის არქონის შემთხვევაში და ა.შ.

საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციამ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა სტანდარტები. ამ ეტაპზე მუშავდება ქართულად უკვე თარგმნილი სტანდარტების განახლებული ვერსიები და იგეგმება კიდევ რამდენიმე სხვა სტანდარტის თარგმნა. მათ შორისაა:

- ISO 16642:2017 – კომპიუტერული პროგრამები ტერმინოლოგიაში – ტერმინოლოგიური მარკირების აგებულება;
- ISO 30042:2019 – ტერმინოლოგიური რესურსების მართვა – ტერმინთბაზების მიმოცვლა.

ეს სტანდარტები გამოიყენება ტერმინოლოგიური მონაცემების დასამუშავებლად და გათვალისწინებულია როგორც შიგა ბაზებზე სამუშაოდ, ისე უკვე გამოქვეყნებული მონაცემებისთვის. ამ სტანდარტების მნიშვნელოვანი მოთხოვნა ისაა, რომ ტერმინოლოგიური მონაცემების გაცვლა დანაკარგისა და ხარვეზების გარეშე ხერხდება. ეს თავი-

დან აგვარიდებს განმეორებით სამუშაოს. ამ გზით მონაცემების დაკავშირება ნებისმიერ სხვა ტერმინთან ან, პირიქით, სხვა ტერმინთან კის მონაცემების გადმოტანა უპრობლემოდ იქნება შესაძლებელი.

გარდა ზემოთ ნახსენებისა, ისოს გამოქვეყნებული აქვს ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული არაერთი სტანდარტი, მაგალითად:

- ISO 29383:2020 – ტერმინოლოგიური პოლიტიკა – შემუშავება და განხორციელება;
- ISO 1951:2007 – ლექსიკონებში სიტყვა-სტატიების ასახვა – მოთხოვნები, რეკომენდაციები და ინფორმაცია;
- ISO 12199:2022 – მრავალენოვანი ტერმინოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მონაცემების ლათინურად ასახვა??? და ანბან-თრიგზე დალაგება;
- ISO 15188:2001 – პროექტის მართვის სახელმძღვანელო მითითებები ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისთვის;
- ISO 26162-1:2019 – ტერმინოლოგიური რესურსების მართვა – ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზები – ნაწილი პირველი: დიზაინი;
- ISO 26162-2:2019 – ტერმინოლოგიური რესურსების მართვა – ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზები – ნაწილი 2: პროგრამული უზრუნველყოფა;
- ISO 26162-3:2023 – ტერმინოლოგიური რესურსების მართვა – ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზები – ნაწილი 3: შიგთავსი;
- ISO 12620:2019 – ტერმინოლოგიური რესურსების მართვა – მონაცემთა კატეგორიის მახასიათებლები.

საერთაშორისო სტანდარტების ქართულ რეალობაში გადმოტანა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი, მაგრამ აუცილებელი პროცესია. ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად დახვეწილი პროდუქტი მივიღოთ. როცა თითოეული ნაბიჯი დეტალურადაა გაწერილი, ხარვეზებიც ნაკლებია შესრულებულ სამუშაოში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეულ დარგს თავისი ტერმინოლოგია აქვს და ხშირად ენათმეცნიერების გარეშე გამოსცემენ ამა თუ იმ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს, ან ადგენენ და მხოლოდ შემდეგ მიმართავენ მათ, რის გამოც არაერთი ხარვეზი იჩენს თავს. სტანდარტების საშუალებით კი ნაწილობრივ მაინც მოგვარდება ეს პრობლემა. როდესაც ყველა საფეხური დაწვრილებით არის განსაზღვრული და მათზე დაყრდნობით წარმართება მუშაობა, შედარებით ნაკლები იქნება უზუსტობა და ნამუშევარიც - ერთგვაროვანი და სისტემური.

ინტერნეტწყაროები

- 1) https://www.iso.org/files/live/sites/isoorg/files/about%20ISO/docs/en/Friendship_among_equals.pdf
- 2) https://en.wikipedia.org/wiki/Standards_organization
- 3) <https://www.iso.org/about-us.html>
- 4) <https://geostm.ge/8/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%96%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%90-2/>

Nino Dateshidze

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia

ninodate@gmail.com

Teona Laphauri

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia

lapauriteo@yahoo.com

Natela Muzashvili

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia

natelamuza@yahoo.com

Marine Osadze

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia

marineosadze@mail.ru

Keywords: International Standards, ISO, Standardization, Termbank, Terminology.

New International Standards of Terminology

Summary

Standardization is essential in any field, including, of course, in science. Especially today, when digital technologies became the most important in the world and the development of any field depends on the introduction of these technologies. This necessarily means considering international standards.

The International Organization for Standardization (ISO) was established in the first half of the twentieth century. Obviously, similar organizations existed before and ISO was founded on their basis. But from this moment, the standards acquired a different value and standardization moved to a new level. It should be noted that there is a field committee for each standard in ISO, one of them is Language and Terminology Committee (ISO / TC 37) established in 1947. It is especially important that the activities of this organization do not mean the one-time establishment of standards, it is a continuous, unfinished process and every five years the standards are reviewed and, if necessary, updated or changed.

The terminology department of Arnold Chikobava Institute of Linguistics is working on Georgian TermBank. This means the use of modern technologies together with terminological activities, therefore, it is necessary to consider international standards in two directions, one related to the principles of terminological activities, and the other - the technical side, so that the Georgian TermBank would be in accordance to the databases of the other countries. One of the supporters of the Georgian TermBank is the European Association for Terminology (EAFIT), whose president, Henrik Nilsson, sent a questionnaire to various countries, including Georgia, and one of the questions was if the National TermBank follows relevant international standards. When Georgian TermBank is published through the Internet, it must be in accordance with the requirements of international standards.

In 1999 with the participation of TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, three standards related to terminological activities were developed and published:

- 1) ISO 704:87 — Principles and methods of terminology;
- 2) ISO 1087:90 — Terminology — Vocabulary;
- 3) ISO 860:96 — Terminology work — Harmonization of concepts and terms.

These standards have been updated for several times since then by ISO, but unfortunately here in Georgia we have not made the same job until today.

Updated versions of terminology standards are being translated with the support of Vukol Beridze Association of Terminology of Georgia. It is also planned to translate other standards about terminology. It is also noteworthy that special standards are established for terminology databases. These standards were requested from ISO by the Georgian National Agency for Standards and Metrology, which is a correspondent member in ISO.

We'll talk about abovementioned standards and highlight their importance in terminology work. Establishing process of standardization is difficult but really essential in Georgian reality. This is a basis for getting a reliable product.